სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წლიური ანგარიში

2021 წელი

მამუკა ჯანგულაშვილი

ბიუროს უფროსი

პატივცემულ კოლეგებს, ექსპერტიზის ბიუროს პარტნიორ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს, მსურს წარმოგიდგინოთ სსიპ ლევან სამხარაულის სახლობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის ანგარიში.

უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ქვეყანაში არსებულმა ეპიდემიოლოგიურმა სიტუაციამ, რომელიც გამოიწვია მსოფლიო პანდემიამ კოვიდ 19-მა, ძირეულად შეცვალა სახელმწიფო სტრუქტურების და მათ შორის სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ადმინისტრირების და მართვის დღის წესრიგი.

2021 წლის განმავლობაში ჩვენი უწყება, თითოეული თანამშრომელი, აქტიურად იყო ჩართული ვირუსის გავრცელების პრევენციისა და პანდემიით გამოწვეული შედეგების დაძლევის პროცესში. მიუხედავად რთული ეპიდემიოლოგიური ვითარებისა, ბიუროს საქმიანობის აქტუალურობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოქალაქეთა მომსახურება არ შეჩერებულა. პანდემიის მართვის საერთაშორისო გაიდლაინების მიხედვით მოეწყო ინფრასტრუქტურა. ჩვენი თანამშრომლები საკმაოდ პასუხისმგებლობით მოეკიდნენ როგორც კოლეგების, ასევე ბიუროს სერვისებით მოსარგებლე პირების უსაფრთხოების დაცვის საკითხს და ვირუსის წინააღმდეგ ვაქცინაციის პროცესში აქტიური ჩართვის შედეგად, საქართველოს მასშტაბით სრულად აცრილ თანამშრომელთა რაოდენობა 90 % აჭარბებს.

მთელი წლის განმავლობაში კრიმინალთან ბრძოლის მიმართულებით, ბიუროს ექსპერტების თავდაუზოგავი შრომის შედეგად სამართალდამცავ უწყებებთან აქტიური ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, არაერთი მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საქმე გაიხსნა. თუმცა, ჩვენთვის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა რიგითი მოქალაქეებისთვის სათანადო მომსახურების გაწევა და მათი მოთხოვნების შესაბამისი სერვისების მიწოდება. სწორედ ამ მიმართულებით, 2021 წელს, მიუხედავად პანდემიით გამოწვეული სირთულეებისა, არაერთი მნიშვნელოვანი სიახლე განვახორციელეთ.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირათა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის მიხედვით, ცენტრალური ოფისის ინფრასტრუქტურა სულიად ადაპტირდა ეტლით მოსარგებლე პირთათვის. ახალი წლიდან ჩვენი სერვისების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია უსინათლო მოქალაქეებისთვის. ამ მიმართულებით 2022 წელს ვგეგმავთ რეგიონულ ოფისებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, ასევე, სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფას ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის.

ბიუროში დანერგილ 500 - მდე საექსპერტო სახეობას დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებით დაემატა ისეთი ექსპრტიზის სახეობები, როგორიცაა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებში, პლასტმასის პროდუქციაში, სათამაშოებში, საღებავებში ტყვიის და მძიმე მეტალების შემცველობის მაღალი სიზუსტით განსაზღვრა; კვების პროდუქტების მიმართულებით თერმულად დამუშავებულ პროდუქტებში სოიოს შემცველობის დადგენა, ხორცის სახეობრივი კუთვნილების განსაზღვრა. ასევე აეწყო მელამინის (აკრძალული და სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი ნივთიერება) აღმოჩენის მეთოდი საკვებ პროდუქტებში. საექსპერტო მიმართულებით ბიურო 2022 წელსაც მნიშვნელოვან სიახლეებს შესთავაზებს მომხმარებელს.

მიმდინარე წელს ბიურო სასაქონლო ექსპერტიზის მიმართულებით, შეფასების დარგში ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციის „შეფასების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ (IVSC) წევრი გახდა. საბჭოსთან მჭიდრო ურთიერთანამშრომლობით ბიურო მოწოდებულია საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ შექმნას მაღალი ხარისხის გასაგები, პრაქტიკულად განხორციელებადი და საერთაშორისო დონის საშემფასებლო სტანდარტები.

2021 წელს ბიურომ განმეორებითი აკრედიტაციის პროცესიც წარმატებით გაიარა და ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი ისო 17025/2018 მიიღო. მიღებული აკრედიტაციები ადასტურებს, რომ ბიუროში დანერგილი ხარისხის სისტემა კვლევის მაღალი ხარისხის და ექსპერტიზის შედეგების სიზუსტის გარანტია.

ექსპერტიზის ბიუროს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომუტეტის და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის აქტიური ურთიერთანამშრომლობით 2021 წელს აფხაზეთის და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე უგზოუკვლოდ დაკარგული 26 მეომრის ნეშტი გადაეცათ ოჯახებს. 2014 წლიდან დღემდე ბიუროს სამედიცინო და ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტების მონაწილეობით ჯამში იდენტიფიცირებულია 2019 მეომრის ნეშტი. იდენტიფიცირების პროცესი კვლავ გაგრძელდება და ბიურო მის დასრულებამდე აქტიურად იქნება ჩართული.

პანდემიის მიუხედავად საერთაშორისო გამოცდილების და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მთელი წლის განმავლობაში ბიუროს ექსპერტები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას საერთაშორისო online კონფერენციებში და ტრენინგებში.

ბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ თანამშრომელს მთელი წლის განმავლობაში გაწეული თავდაუზოგავი შრომისთვის და იმედს გამოვთქვამ 2022 წელი კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება ჩვენი და ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისთვის.

ბიუროს შესახებ

ბიუროს მისია

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიზანს წარმოადგენს მეცნიერებაზე დაფუძნებული, კვალიფიციური საექსპერტო მომსახურების გაწევა, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ემყარება ხარისხისა და ანალიტიკური საქმიანობის მუდმივი განვითარების კონცეფციას. ბიუროს მიზანია საექსპერტო კვლევებისათვის გამოიყენოს საყოველთაოდ აღიარებული და დანერგილი სამეცნიერო ტექნოლოგიები, ჩაატაროს მაღალკვალიფიციური ექსპერტიზები და მუდმივად გააუმჯობესოს და განავითაროს საკუთარი მომსახურება. საქმიანობიდან გამომდინარე, ხელი შეუწყოს ქვეყანაში სასამართლო ხელისუფლების და სამართალწარმოების პროცესს.

ბიუროს ფუნქციები

- სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო ექსპერტიზის ჩატარება და შესაბამისი დასკვნის, დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტის გაცემა;
- სასამართლო-საექსპერტო მომსახურების განხორციელება ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე;
- სამეცნიერო და მეთოდური მუშაობის განხორციელება, ახალი მეთოდების დანერგვა და გამოკვლევათა მეთოდიკების სრულყოფა;
- საქართველოს და საერთაშორისო სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებებთან და სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- დაქტილოსკოპიური, ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა საინფორმაციო ბაზების წარმოება;
- ბეჭდვითი პროდუქციის გამოცემა სასამართლო ექსპერტიზის საკითხებზე;
- მოქმედი კანონმდებლობით და ამ დებულებით დაკისრებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

ბიურო უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს

- ❑ ვიდეო, ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზა;
- ❑ ბალისტიკური, ტრასოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა;
- ❑ სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზა;
- ❑ რადიაციული და სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზა;
- ❑ დოკუმენტების ტექნიკური და ხელწერის ექსპერტიზა;
- ❑ სასაქონლო ექსპერტიზა;
- ❑ ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზა;
- ❑ საინჟინრო ექსპერტიზა;
- ❑ ნავთობ- პროდუქტების ექსპერტიზა;
- ❑ კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზა;
- ❑ ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზა;
- ❑ ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა;
- ❑ ნარკოლოგიური შემოწმება და ექსპერტიზა;
- ❑ ნივთიერებათა, მასალათა და ნაკეთობათა და მცენარეთა ექსპერტიზა;
- ❑ სამედიცინო ექსპერტიზა (ცოცხალი პირების და გვამების, სამედიცინო-კრიმინალისტიკური, ჰისტოლოგიური ექსპერტიზა);
- ❑ ბიოლოგიური ექსპერტიზა (გენეტიკური, სეროლოგიური და სხვ);
- ❑ ფსიქიატრიული შემოწმება და ექსპერტიზა (ამბულატორიული, სტაციონარული);
- ❑ კომპიუტერული ექსპერტიზა;
- ❑ ბიურო უფლება მოსილია კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს სხვა სახის ექსპერტიზებიც.

www.expertiza.gov.ge

შემაჯამებელი მიმოხილვა

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის საქმიანობის ანგარიში შეესაბამება “საჯარო სამართლის იურიდიული პირის–ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #255 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებას და მოიცავს 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების და განხორციელბული მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ ინფორმაციას.

2021 წლის ანგარიშის შედგენაში მონაწილეობა მიიღო ბიუროს ყველა სტრუქტურულმა ერთეულმა და დეტალურად არის აღწერილი ბიუროს საქმიანობის სფეროები, თითოეული სამსახურის მიერ განხორციელებული და დანერგილი პროგრესული სიახლეები და ბიუროში გატარებული რეფორმები.

2020 წლის სამოქმედო გეგმით განხორციელებული აქტივობებს საფუძვლად უდევს ბიუროს 2020 -2025 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის ფარგლებშიც მიმდინარე წლის პრიორიტეტულ მიმართულებებად განისაზღვრა

- ბიუროს ცენტრალური და რეგიონული ოფისების ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის განვითარება
- მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისი
- კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და საერთაშორისო ტესტირებებში მონაწილეობა



ადმინისტრაციული დეპარტამენტი

ქვეყანაში არსებული კოვიდ ვითარების მიუხედავად, მთელი წლის განმავლობაში ბიუროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის თანამშრომლები ყოველდღიურ რეჟიმში ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, რათა არ შეფერხებულიყო პირველ რიგში მომხმარებლებისთვის შესაბამისი სერვისის მიწოდება, ასევე ბიუროს ექსპერტების საქმიანობა. სწორედ ამ მიზნით, 2021 წლის განმავლობაში ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამსახურების მიერ არა ერთი მნიშვნელოვანი სიახლე იქნა ინიცირებული

პანდემიასთან ბრძოლა

პანდემიასთან ბრძოლის პრევენციის მიზნით, 2021 წლის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით ბიუროს ოფისების ინფრასტრუქტურა სრულად აღიჭურვა საერთაშორისო პროტოკოლით გათვალისწინებული კოვიდ საწინააღმდეგო ინვენტარით. დაიბეჭდა სპეციალური საინფორმაციო მასალა, რომელიც ხელმისაწვდომია, როგორც ბიუროს თანამშრომლებისთვის, ასევე ბიუროს სერვისით მოსარგებლე პირთათვის.

საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული საყოველთაო აცრის დაწყების დღიდან სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო აქტიურად ჩაერთო ვაქცინაციის პროცესში. ბიუროს მენეჯმენტის ჩართულობით და ადმინისტრაციული დეპარტამენტის უშუალო ორგანიზებით, შეიქმნა ბიუროს თანამშრომელთა სამუშაოზე მორგებული და მოქნილი ვაქცინაციის გეგმა, რის შედეგადაც ამ ეტაპზე ბიუროს თანამშრომელთა 90 % სრულად არის ვაქცინირებული.

www.expertiza.gov.ge

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

ბიუროს მენეჯმენტისა და ადმინისტრაციული დეპარტამენტის უშუალო მონაწილეობით, 2021 წელს ბიუროს შიდა ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერების, მართვის პროცესის დახვეწის და სერვისების გაუმჯობესების მიზნით ბიუროს და კონკრეტულად ადმინისტრაციის უფლებამოსილების სფეროს გათვალისწინებით შეიქმნა შიდა პოლიტიკის განსაზღვრელი დოკუმენტები. მათ შორის:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმა
- ბიუროს საზოგადოებასთან ურთიერთობის 2021 წლის სტრატეგია
- არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის ფაქტებზე ექსპერტიზის ჩატარების სტანდარტული ოპერაციული პროცედურების შემუშავება „ბარნაჰუსის“ მოდელის ფარგლებში

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

მიმდინარე წელს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში - სტამბულის პროტოკოლით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, ბიუროს სამოქმედო გეგმის შემუშავებაში

2021 წლის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ მომზადდა

- გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიერ, ქალთა მიმართ ძალადობის საკანონმდებლო ინიციატივების პაკეტებში ბიუროს შენიშვნები და პოზიცია;
- სამედიცინო ექსპერტიზის მიმართულებით კომისიურ ექსპერტიზებთან დაკავშირებული პრობლემების, კადრების სიმცირის კუთხით პრობლემების ანალიზი და გადაჭრის შესაძლო გზები;
- ბიუროს საექსპერტო დეპარტამენტების საქმიანობაში ხელისშემშლელი ფაქტორების ანალიზი;
- მომხმარებლის მომსახურების გაუმჯობესებით მიზნით, ეკონომიკური და საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული ექსპერტიზის დეპარტამენტთან ერთად ბიუროს სერვის ცენტრებში საბანკო ტერმინალებით მომსახურების დანერგვის გეგმა და ჩართული იყო განხოციელების პროცესში.
- დებიტორთა რიცხვის შემცირების მიზნით, ეკონომიკურ დეპარტამენტთან ერთად წინადადებების პროექტი, ბიუროში საექსპერტო მომსახურების გადახდის წესის შესახებ;
- ეკონომიკურ დეპარტამენტთან ერთად, ბიუროს თანამშრომლებისთვის სამუშაო/საიმიჯო სამოსის დიზაინი და შესყიდვის გეგმა;



ადმინისტრაციის უშუალო ორგანიზებით ჩატარდა

- „ბარნაჰუსის“ მოდელის ფარგლებში თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების გაცნობის მიზნით ტრენინგი სასამართლო -სამედიცინო და ფსიქიატრიული ექსპერტიზის ექსპერტებისთვის;
- სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ, თანამედროვე სტაბდარტების გაცნობის მიზნით, ევროსაბჭოს და სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების ტრენინგი;

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

მთელი წლის განმავლობაში საქმისწარმოების სამმართველოს მიერ დამუშავდა 211 390 დოკუმენტი

განხორციელდა 2014 წლიდან-2020 წლამდე საცავში არსებული ნივთმტკიცებების ინვენტარიზაცია

2021 წლის განმავლობაში დაარქივდა 25 920 დოკუმენტი

ადმინისტრაციული დეპატამენტი

საკადრო უზრუნველყოფა და დასაქმება

2021 წლის განმავლობაში ბიუროს საჯარო სამსახურის ვებ.გვერდის www.hr.gov.ge მეშვეობით ბიუროს სხვადასხვა დეპარტამენტში არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის შედეგად შეირჩა და დაინიშნა 35 პირი.
ამ ეტაპზე ბიუროში სულ დასაქმებულია 482; შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე 327 პირი, ხოლო შტატგარეშე პოზიციაზე 155 პირი. მათ შორის გენდერულ ჭრილში 233 ქალი და 249 მამაკაცი



საკადრო ადმინისტრირება

- დაკისრებული მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის წახალისდა 5
- ბიუროს -- თანამშომლის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინარული პასუხისმგებლობის სხვადასხვა ზომა 8

სტაჟირება

სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ბიუროს სხვადასხვა დეპარტამენტებში სტაჟირება გაიარა 19 პირმა.

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

სამართლებრივი უზრუნველყოფა

2021 წლის განმავლობაში, ადმინისტრაციული დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:

საერთო სასამართლო ორგანოებში შეტანილ იქნა ექსპერტიზებთან დაკავშირებული 159 სარჩელი. მათ შორის:

- ❑ ბიუროს სასარგებლოდ დასრულდა 93 საჩელი
- ❑ სასამართლო წარმოებაშია 133 სარჩელი
- ❑ სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა 1 სარჩელი

2021 წლის მანძილზე საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით მომზადდა **974** წერილი.

მთელი წლის განმავლობაში იურიდიული სამმართველოს მიერ მომზადდა ბიუროსთან შემხებლობაში მყოფი შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების პროექტები:

- ❑ საქართველოს მთავრობის მიერ გამოსაცემი დადგენილების პროექტები;
- ❑ საქართველოს მთავრობის განკარგულებების პროექტები;
- ❑ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ხელშეკრულებები;
- ❑ ბიუროს წინადადებების და შენიშვნების საფუძველზე საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები;
- ❑ მემორანდუმების ტექსტის პროექტები;
- ❑ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები;
- ❑ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები;

სამართლებრივი კონსულტაცია გაეწია ბიუროს სერვისებით მოსარგებლე 500 ზე მეტ პირს.

ასევე, სამმართველოს თანამშრომლების მხრიდან, ყოველდღიურად, სამართლებრივ კოსულტაციას იღებენ ბიუროს ექსპერტები და ადმინისტრაციის თანამშრომლები

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

საზოგადოებასთან ურთიერთობა

მთელი წლის განმავლობაში, ბიუროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ოპერატიულად აწვდიდა მომხმარებელს ბიუროში დაგეგმილი სიახლეების და განხორციელებული პროექტების შესახებ.

2021 წლის განმავლობაში პროაქტიულად ფუნქციონირებდა ბიუროს სოციალური ქსელი და ცხელი ხაზი, სადაც დამკვეთი მისთვის სასურველ ინფორმაციას სწრაფად და კვალიფიციურად ეცნობოდა.

მთელი წლის განმავლობაში საზოგადობასთან ურთოერთობის სამსახურის მიერ საჯარო ინფორმაცია 10 000 პირზე გაიცა. მათ შორის სასამართლო, საგამოძიებო, საჯარო და კერძო სტრუქტურები, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგნიზაციები და ფიზიკური პირები.

სოციალური პასუხისმგებლობა

წლიდან წლამდე ბიუროს თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა სოციალურ პროექტებში.

2021 წელს
პროექტის ფარგლებში „გაიღე სისხლი გადაარჩინე სიცოცხლე“ დასავლეთ საქართველოს რეგიონული დეპარტამენტის ექსპერტებმა, სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის - სისხლის ბანკის ჩართულობით სისხლის უანგარო დონაციის აქციაში მიიღეს მონაწილეობა.

ბიუროს თანამშრომლების მიერ მიმდინარე წელს სოლიდარობის ფონდში გადარიცხული თანხა შეადგენს **23 138** ლარს.

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

ბიუროს სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის

2021 წელს ბიუროს სერვისები კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

- ❑ სათაო ოფისში დამონტაჟდა პანდუსი ეტლით მოსარგებლეთათვის;
- ❑ ბიუროს ყველა ოფისისთვის ბრაილის შრიფტით დამზადდა ბიუროს სერვისების, მომსახურების ტარიფების და ნარკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ საინფორმაციო მასალები.

აღნიშნული ღონისძიებები განხორციელდა ბიუროს 2021 წლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში.



ქვეყანაში გავრცელებული კოვიდ პანდემიის მიუხედავად 2021 წელს ბიუროს ექსპერტებმა არაერთ სატელევიზო გადაცემაში მიიღეს მონაწილეობა და საზოგადოებას მიაწოდეს ინფორმაცია სხვადასხვა საექსპერტო კვლევების თაობაზე.

ეკონომიკური დეპარტამენტი

ქვეყანაში არსებული კოვიდ ვითარების მიუხედავად, ბიუროს ეკონომიკური ექსპერტიზის დეპარტამენტმა მიმდინარე წელს არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური პროექტი განახორციელა. 2021 წლის განმავლობაში ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესყიდვების გეგმის ფარგლებში ჯამში 8 675 000 ლარის შესყიდვა შეასრულა.

შესყიდვების გეგმა - 8 675 000

დასახელება	დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა	დადებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება
ელ. ტენდერის საშუალებით	142	4 244 274,80
კონს. ტენდერის საშუალებით	60	598 249,15
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით	233	3 165 393,89
სულ:	**435**	**8 007 917.84**

471 898, 2 ლარი

- **ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომია**

27 812,74 ლარი

- **მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო**

92,3 %

- **გეგმის შესრულება**

ეკონომიკური დეპარტამენტი

2021 წლის განმავლობაში **390 000 ლარის** სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდა ბიუროს ადმინისტრაციულ, ფსიქიატრიულ, დასავლეთ საქართველოს რეგიონული დეპარტამენტების ოფისებში.

კოვიდ პანდემიის ვირუსთან ბრძოლის პრევენციის, ბიუროს თანამშრომელთა და მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით, დასავლეთ საქართველოს რეგიონული დეპარტამენტის ოფისში, მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის და საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის პროტოკოლების მიხედვით, მოეწყო კოვიდინფიცირებული გარდაცვლილი პირების სასექციო განყოფილება. დასავლეთ საქართველოს გარდა კოვიდინფიცირებულთა სასექციო განყოფილება მოწყობილია აღმოსავლეთ საქართველოშიც, კერძოდ ქ.რუსთავის სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილების ტერიტორიაზე.

ჩატარებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა: **69 580 ლარი**

სარემონტო - სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა ასევე, ბიუროს აჭარის რეგიონულ ოფისში. კერძოდ, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა დეპარტამენტის "B" ბლოკის სახურავს, რომლის სარემონტო ღირებულებამაც შეადგინა **42 323 ლარი.**

ბიუროს ცენტრალური ოფისის ნივთმტკიცებების საცავისთვის, ასევე სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის და შიდა ქართლის სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილების მატერიალურ - ტექნიკური საჭიროებებისთვის დახარჯულ იქნა ჯამში **71 698 ლარი.**



ეკონომიკური დეპარტამენტი

2021 წლის განმავლობაში ახალი საექსპერტო მომსახურების დანერგვის, ბიუროს მატერიალური ბაზის განახლების მიზნით, დეპარტამენტების საჭიროებებიდან გამომდინარე შეძენილ იქნა

ქიმიურ - ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტისთვის

- ❑ პორტატული ელექტროთერმომეტრები
- ❑ კასრებიდან ნიმუშის ასაღები ჩხირები
- ❑ ტუბების როტატორი 2 ცალი
- ❑ ბიოლოგიურ ობიექტებში ალკოჰოლის განსასაზღვრი აპარატი (გაზური ქრომატოგრაფი ალურიონიზაციური დეტექტორით და ჰედსპეისით (GC-FID-HS)).
- ❑ გაზური ქრომატოგრაფი ტანდემური მასსპექტრომეტრული დეტექტირებით და ჰედსპეისით GC-MS/MS-HS
- ❑ გაზური ქრომატოგრაფი ალურიონიზაციული დეტექტორით (GC-FID)
- ❑ ATR ინფრაწითელი სპექტრომეტრი ფურიე გარდამქმნელით
- ❑ ლაბორატორიული საყინულე მაცივარი
- ❑ ელექტროქურა კერამიკის ბრტყელი ზედაპირით
- ❑ ELISA-ს სტრიქსები
- ❑ წყლის ელექტრო დისტილატორი
- ❑ წყლის აბაზანა



ეკონომიკური დეპარტამენტი

საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტისთვის

- ❑ ლაბორატორიული საფქვავი
- ❑ ბლეინის ჰაერის გამტარებლობის აპარატი

აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტისთვის

- ❑ უკაბელო სიგნალიზაციის სისტემა
- ❑ რიგის მართვის სისტემა

ეკონომიკური დეპარტამენტი

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტისთვის

- ❑ ბორმანქანა 3 ცალი

1 200 ლარი

ბიუროს თანამშრომლებისთვის

- ❑ 35 ერთეული ფოტო -აპარატი
- ❑ 20 ერთეული პრინტერი
- ❑ 40 ერთეული სტატიური კომპიუტერი
- ❑ სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები
- ❑ 5 ერთეული ფერადი სკანერი
- ❑ კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები
- ❑ 20 ცალი ლეპტოპი
- ❑ 9 ცალი მაღალი წარმადობის ფერადი პრინტერი

33 745 ლარი

75 992 ლარი

28 697 ლარი

47 000 ლარი

102 360 ლარი

ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტისთვის

- ❑ პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის მოწყობილობები

20 626.40 ლარი

2 ერთეული ავტომობილი Renault Duster

ღირებულება 111 400 ლარი

ეკონომიკური დეპარტამენტი

დეპარტამენტმა 2021 წელს ბიუროსთვის ასევე შეიძინა

- ❑ მონაცემთა დაცვის პროგრამული პაკეტები, კერძოდ Barracuda Spam Firewall 200 ანტისპამური მოწყობილობის ლიცენზიები.
  ღირებულება - 16,769 ლარი.

- ❑ RIPE NCC-გან დამოუკიდებელი ინტერნეტ რესურსებით სარგებლობის უზრუნველყოფის მომსახურების გაწევა.
  ღირებულება - 4 997 ლარი.

- ❑ ბიუროში არსებული „foster+freeman“-ის ფირმის კვლევით სისტემა „VSC6000 HS“-ში ჩატვირთული REGULA-ს ფირმის ბაზების განახლების 3 წლიანი ლიცენზია.
  ღირებულება - 14, 250 ლარი.

- ❑ ანტივირუსული პროგრამული უზრუნველყოფის მოწოდება.
  ღირებულება - 24, 957 ლარი.

- ❑ ბიუროს ქსელური ინფრასტრუქტურის მოწყობილობების 1 წლიანი მწარმოებლის გარანტიის / ტექნიკური მხარდაჭერის (SmartNet) შესყიდვა, შემოჭრის პრევენციის სისტემის (IPS - Intrusion Prevention System) შესყიდვა (1 წლიანი)
  ღირებულება - 92, 984 ლარი.

- ❑ უსაფრთხოების სისტემის Check Point ლიცენზია (1 წლიანი)
  ღირებულება - 92, 984 ლარი.

- ❑ უსაფრთხოების სისტემის (WAF - Web Application Firewall) ლიცენზიის შეძენა (1 წლიანი) (გარე საიტის და მეილის, გარე სერვისების დაცვა)
  ღირებულება - 118, 200 ლარი.

- ❑ კომპანია „Cellebrite”-ის პროგრამული პაკეტები სარეზერვო ასლების გასაკეთებლად ან დაკარგული ფაილების აღსადგენად
  ღირებულება - 402, 380 ლარი.

ხარისხის კონტროლის და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი

ხარისხის კონტროლი

2021 წლის განმავლობაში ხარისხის კონტროლის და საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ ბიუროს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების და ხარისხის სტანდარტის გაუმჯობესების მიზნით არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა

უშუალოდ დეპარტამენტის აქტიური ჩართულობით ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ წარმატებით გაიარა განმეორებითი აკრედიტაციის პროცესი საერთაშორისო სტანდარტის ISO 17025:2017/2018 მოთხოვნების შესაბამისად, რის შედეგადაც აკრედიტებული ორგანოს სტატუსი მიენიჭა მომდევნო 4 წლის ვადით. აღსანიშნავია, რომ ექსპერტიზის ეროვნული ბიურო საქმიანობას საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად 2013 წლიდან ახორციელებს და წლების განმავლობაში ინარჩუნებს აკრედიტებული ორგანოს სტატუსს.

ახალი ექსპერტიზის სახეობების დანერგვის და შესაბამისად აკრედიტაციის სფეროს გაფართოების მიზნით, მიმდინარე წელს დაინერგა მულტიმედიური საექსპერტო პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების გამოყენებით ციფრულ ფოტოზე და ვიდეო მასალაზე მონტაჟის და რედაქტირების კვალის აღმოჩენის თანამედროვე მეთოდი და შესაბამისი აკრედიტაცია მიენიჭა კრიმინალისიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის ვიდეო, ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის სამმართველოს.

2021 წლის მსგავსად ხარისხის კონტროლის და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მხარდაჭერით და მონაწილეობით ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, სხვადასხვა საექსპერტო დეპარტამენტების მიერ მომდევნო წელსაც მოხდება ახალი კვლევების მეთოდების დანერგვა და აკრედიტაციის სფეროს გაფართოება.

2022 წელს დეპარტამენტი, სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტთან ერთად, ასევე, აქტიურად იქნება ჩართული „ამერიკის სამედიცინო ექსპერტთა ასოციაციის“ (NAME) აკრედიტაციის მიღების მიზნით ჩასატარებელ გეგმიურ სამუშაოებში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის პროგრამის (INL) მხარდაჭერით ხორციელდება

ხარისხის კონტროლის და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი

საერთაშორისო ურთიერთობები

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში მსოფლიოში გავრცელებულმა კოვიდ პანდემიამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ბიუროს საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულებით დასახული სამოქმედო გეგმის განხორციელება, 2021 წელს დეპარტამენტის უშუალო ჩართულობით ბიუროს სხვადასხვა საექსპერტო მიმართულების ექსპერტებმა უცხოელი კოლეგების გამოცდილების გაზიარებისა და თანამედროვე კვლევის მეთოდების გაცნობის მიზნით, სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI) მიერ ორგანიზებულ არაერთ ონლაინ სემინარში და კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა.

ასევე დეპარტამენტის უშუალო ჩართულობით ბიუროს სხვადასხვა საექსპერტო ლაბორატორიებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ლაბორატორიათაშორის პროფესიულ ტესტირებებში და შედეგებით წამყვანი პოზიციები დაიკავეს.

2021 წლის განმავლობაში ბიურო წინა წლების მსგავსად, აქტიურად თანამშრომლობდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის პროგრამა (INL) - თან, რომლის მხარდაჭერითაც ბიურომ წლების მანძილზე ექსპერტიზების მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტის დანერგვის მიზნით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა.

ბიურო ასევე აქტიურად თანამშრომლობს ჯორჯიის შტატის საგამოძიებო ბიუროსთან (GBI), სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტოსთან (CEPOL), წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან (ICRC) და სხვა საერთაშორისო საექსპერტო დაწესებულებებთან.

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით 2022 წელს იგეგმება საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობასთან შეხვედრის ორგანიზება და სასამართლო ექსპერტიზის მიმართულებით მიმდინარე პროექტებში, ბიუროსთან თანამშრომლობის შესაძლებლობის განხილვა.

ასევე გაგრძელდება დეპარტამენტის მიერ ბიუროს ექსპერტთა პროფესიული განვითარების და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მათი საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, სემინარებში და ლაბორატორიათაშორის ტესტირებებში მონაწილეობის ორგანიზება.

2022 წელს ასევე დაგეგმილია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)-ის მიერ შემოთავაზებულ ტრეინინგებში ბიუროს ექსპერტების მონაწილეობის ხელშეწყობა.

ხარისხის კონტროლის და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი

საერთაშორისო ურთიერთობები

ბიუროს საქმიანობის, დანერგილი სიახლეების გაცნობის, სამომავლო თანამშრომლობის მიზნით 2021 წელს ბიუროს არაერთი საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციის დელეგაცია ესტუმრა.

ბიუროს ხელმძღვანელი მამუკა ჯანგულაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის (INL) ბიუროს ახალ ხელმძღვანელს საქართველოში სარა რუპერტს, ამავე ბიუროს პოლიციის მრჩეველს ლარი ფოკასს და სასჯელაღსრულების საკითხებში საელჩოს მრჩეველს სკოტ ვიგინსს შეხვდა, მიმდინარე პროექტებზე და (INL)-თან სამომავლო თანამშრომლობის გეგმებზე ისაუბრეს.

შეხვედრა გაიმართა ასევე წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაციის ხელმძღვანელთან საქართველოში სევერინ ჩაპეზს და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა დესპანს კავკასიაში დანიელ მაკსუინთან. შეხვედრისას, საუბარი წარიმართა ორი უწყების ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში აფხაზეთის და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა იდენტიფიცირების პროცესში შეტანილ წვლილზე და სამომავლო გეგმებზე.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან გადმოსვენებული ნეშტების იდენტიფიცირების პროცესი, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მხარდაჭერით 2014 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. 2014 წლიდან დღემდე, ბიუროს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ურთიერთთანამშრომლობით, იდენტიფიცირებულია აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული 219 ნეშტი.

დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა იდენტიფიცირების პროცესი კვლავ გრძელდება და ბიურო მის დასრულებამდე აქტიურად იქნება ჩართული.



დეპარტამენტის უშუალო ჩართულობით და მონაწილეობით, ბიურო სასაქონლო ექსპერტიზის მიმართულებით, შეფასების დარგში ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციის „შეფასების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ (IVSC) წევრი გახდა.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი

ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების მიუხედავად, კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის თანამშრომლები ჩვეულ რეჟიმში, შეუფერხებლად ახორციელებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. 2021 წლის განმავლობაში დეპარტამენტის ექსპერტების მიერ გაიცა **7896** დასკვნა.



დასაქმება

2021 წლის განმავლობაში, კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის გუნდს შეუერთდა ერთი თანამშრომელი (ექსპერტი) სატრანსპორტო-ტექნიკურ -ტრასოლოგიური ექსპერტიზის მიმართულებით. ბალისტიკური, ტრასოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის სამმართველოში, დაინიშნა 1 პირი ანაზღაურებად სტაჟიორად, ტრასოლოგიური ექსპერტიზის მიმართულებით, ხოლო სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური, რადიაციული და სახანძრო ექსპერტიზის სამმართველოში, სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის მიმართულებით სტაჟიორად დაინიშნა 2 პირი, მათ შორის ერთ-ერთი ანაზღაურებად პოზიციაზე.

სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში სამივე პირი დასაქმდება დეპარტამენტში



www.expertiza.gov.ge

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი

საერთაშორისო და ადგილობრივ ტესტირებებში მონაწილეობა

კრიმინალური ექსპერტიზის დეპარტამენტის სხვადასხვა საექსპერტო მიმართულების ექსპერტებმა მთელი წლის განმავლობაში რამდენიმე საერთაშორისო ტესტირებაში მიიღეს მონაწილეობა და შედეგებით კიდევ ერთხელ დაადასტურეს მაღალი ხარისხის პროფესიული უნარები.

- დაქტილოსკოპიის, ბალისტიკის, ტრასოლოგიის და დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზის მიმართულების ექსპერტებმა წარმატებით გაიარეს და დადებითი შედეგები აჩვენეს, საერთაშორისო დონეზე აღიარებული, აშშ-ს კომპანია CTS-ის მიერ ჩატარებულ საკვალიფიკაციო ტესტირებაში

- დაქტილოსკოპიური მიმართულების ექსპერტები ასევე მონაწილეობდნენ ENFSI მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ტესტირებაში და წარმატეულ შედეგს მიაღწიეს

- ხელწერის ექსპერტიზის მიმართულების ექსპერტებმა წარმატებით გაიარეს უწყებათაშორისი პროფესიული ტესტირება, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის შესაბამისი დარგის ექსპერტებთან ერთად იქნა შემუშავებული და ჩატარებული.



მონაწილეობა საკვალიფიკაციო ტრენინგებში

2021 წლის განმავლობაში დეპარტამენტის ექსპერტებმა წინასწარ შემუშავებული გეგმა - გრაფიკის მიხედვით შიდა ლაბორატორიული ტრენინგები გაიარეს **დაქტილოსკოპიაში** ქაღალდის ზედაპირზე ხელის კვალის გამოვლენა სხვადასხვა ქიმიური საშუალებებით; **ბალისტიკაში** სროლის მანძილის განსაზღვრა; **ტრასოლოგიაში** ტანსაცმელზე განვითარებული სხვადასხვა დაზიანებების მექანიზმის დადგენა;

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი

2021 წლის 22 ივნისს ბალისტიკური, ტრასოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის სამმართველომ გაიარა აკრედიაცია ისო/იეკ (ISO) 17025:2017/2018 სტანდარტის შესაბამისად

დეპარტამენტის 2022 წლის სამოქმედო გეგმა

დეპარტამენტის განვითარებისთვის და ლაბორატორიებში საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი სამუშაო პროცესის შეუფერხებელი და მაღალი ხარისხის საექსპერტო საქმიანობის განსახორციელებლად, 2022 წლისთვის იგეგმება საექსპერტო/კვლევითი საქმიანობისთვის აუცილებელი აპარატურის და ტექნიკური მასალის შეძენა;

კვლავ გაგრძელდება მაღალი ავტორიტეტის და გამოცდილების მქონე საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით, დეპარტამენტის სხვადასხვა მიმართულების ექსპერტების მონაწილეობა საკვალიფიკაციო პროფესიულ ტესტირებებში. ასევე მნიშვნელოვანია დეპარტამენტის ექსპერტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო საექსპერტო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ კონფერენციებში და სამუშაო შეხვედრებში, რათა დროულად გაეცნონ ექსპერტიზის მიმართულებით მსოფლიო სიახლეებს, ინფორმაციას ახალი საექსპერტო კვლევითი აპარატურის და მეთოდების შესახებ.

2022 წელს მსოფლიოში ეპიდვითარების გათვალისწინებით დეპარტამენტი გეგმავს ექსპერტების მონაწილეობას ENFSI -ის ყოველწლიურ შეკრებებზე. მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობა მნიშვნელოვანია თანამედროვე სტანდარტის ლაბორატორიებისთვის, ინოვაციური და თანამედროვე სტანდარტის კვლევების დანერგვის კუთხით.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის აკრედიტებულ ლაბორატორიებში, 2022 წელს სტანდარტის შესაბამისობის დადგენის მიზნით იგეგმება ყოველწლიური მონიტორინგი, რომელსაც აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი განახორციელებს.

სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტი

2021 წელს სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტი შეფასების დარგში ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციის „შეფასების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IVSC) წევრი გახდა. ბიუროს გარდა, საბჭო, მსოფლიოს მასშტაბით აერთიანებს 137 ქვეყნის 170-ზე მეტ წევრს, მათ შორის ისეთ ავტორიტეტულ ორგანიზაციებს როგორიცაა Earnst and Young, Bloomberg, Deloitte, და სხვა. „შეფასების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს წევრობა“, სასაქონლო ექსპერტიზის მიმართულებით კიდევ უფრო განამტკიცებს ჩატარებული კვლევების მაღალ სტანდარტს და ხელს შეუწყობს მომხმარებლის მხრიდან სანდოობის გაზრდას.

INTERNATIONAL VALUATION STANDARDS COUNCIL

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და USAID-ის მხარდაჭერით საქართველოს ,,მიწის მესაკუთრეთა დაცვის ასოციაციის” მიერ შემფასებელთა პროფესიული სერთიფიცირებისა და მომზადების პროგრამაში დეპარტამენტის ყველა ექსპერტებმა მიიღო მონაწილეობა და განაახლა ბიზნესის, უძრავი და მოძრავი ქონების შემფასებლის ISO/IEC 17024 სტანდარტის სერთიფიკატები;

ასევე, დეპარტამენტის სხვადასხვა მიმართულების ექსპერტებმა, მთელი წლის განმავლობაში, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ტრენინგებში და ვებინარებში. მათ შორის:

- ❑ ტრენინგი „შეფასების საერთაშორისო სტანდარტების ცვლილებები“;
- ❑ ტრენინგი „შეფასების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება და დაშვებები კოვიდ პანდემიის დროს“;
- ❑ ტრენინგი „საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებები“ (დღგ და სხვა);
- ❑ ტრენინგი „ფინანსური ანალიტიკა“;
- ❑ საბუღალტრო პროგრამა „ორისი“-ს შესწავლის კურსი.

www.expertiza.gov.ge

სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტი

მსოფლიოში გავრცელებული კოვიდ პანდემიის მიუხედავად სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპატამენტის მიერ 2021 წელს გაიცა **22057** რაოდენობის დასკვნა



სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ, მთელ რიგ მნიშვნელოვან ექსპერტიზებს შორის, 2021 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეცნიერებთან ერთად კვლევის შედეგად სპილენძისგან დამზადებული მონეტის ავთენტურობა დაადგინა, რომელიც გახლავთ **საქართველოს მეფე დავით მეოთხე აღმაშენებლის პერიოდის ისტორიული არტეფაქტი - მონეტა.**

სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტი

2022 წელს სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტი გეგმავს თანამშრომლების გადამზადებას სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ

- ❑ ტრენინგი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში დანერგილის სიახლეების შესახებ;
- ❑ ტრენინგები შეფასების საერთაშორისო სტანდარტებში ცვლილებების შესახებ;
- ❑ გადამზადება სასაქონლო და ფინანსური საექსპერტო საქმიანობაში დანერგილი სიახლეების შესახებ



www.expertiza.gov.ge

საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტი

ქვეყანაში არსებული კოვიდ პანდემიის მიუხედავად საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტი 2021 წლის განმავლობაში შეუფერხებლად ფუნქციონირებდა. მთელი წლის განმავლობაში, სხვადასხვა საექსპერტო მიმართულებებით დეპარტამნტის მიერ შესრულდა 3766 დასკვნა.



2021 წელს წარმატებულად განხორციელდა დასავლეთ საქართველოს რეგიონებში საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრის მშენებლობის ტექნიკურ ზედამხედველთა სამუშაოები, რამაც მნიშვნელოვანი დამატებითი ფინანსური შემოსავალი შემატა ბიუროს.

საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტი

მიღწევები სამეცნიერო - კვლევით საქმიანობაში

2021 წლის განმავლობაში საექსპერტო საქმიანობასთან ერთად, დეპარტამენტი აქტიურად მუშაობდა სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით, რომელსაც ახორციელებდა შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში.

წარმატებით დასრულდა „მდინარე დურუჯის კალაპოტში, ქალაქ ყვარელთან აკუმულირებული თიხაფიქლური ნატანიდან კერამზიტის წარმოების ხერხი“-ს დაპატენტების პროცესი.

მდინარე დურუჯს ადიდებისას ხეობაში პერიოდულად ჩამოაქვს დიდი რაოდენობით ნატანი თიხოვანი ფიქლების სახით, რომელიც თანდათან გროვდება და საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. ნატანი მასის უტილიზაციის და ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფოს მხრიდან გამოიყოფა დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრები.

ამჟამად, მეცნიერთა ჯგუფი მუშაობს თიხაფიქლების თერმული დამუშავების გზით მაღალი ტექნოლოგიური და საექსპლუატაციო თვისებების მქონე, ეკოლოგიურად სუფთა, მსუბუქი ფოროვანი შემვსების-კერამზიტის მიღებაზე, რომელიც ფართოდ გამოიყენება მშენებლობაში სხვადასხვა მიზნებისათვის.

შედეგად, თუკი დურუჯის ხეობაში დიდი რაოდენობით არსებული ნატანის საწარმოო დანიშნულებით გამოყენება მოხდება, მოიხსნება მოსახლეობის უსაფრთხოების პრობლემა და რაც მთავარია ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულით დამზადდება ქართული სამშენებლო პროდუქცია, რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ქართულ სამშენებლო ინდუსტრიაში.

ასევე, 2021 წლის განმავლობაში გაგრძელდა კვლევები რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის: "სტიქიისადმი ზემდგრადი და ენერგოეფექტური ბეტონების შემვსებ-შემავსებლად, ფორიან ნაკეთობებად საქართველოს თიხოვანი ქანების მოდიფიცირების" მიმართულებით.

საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტი

2022 წელს გარდა საექსპერტო მიმართულებების განვითარებისა, დეპარტამენტი სამეცნიერო გრანტის ფარგლებში, თიხოვანი მასალების გამოკვლევების მიმართულებით არა-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას გეგმავს.

მათ შორის

- ❖ პროექტის და ჩატარებული სამუშაობის შესახებ იგეგმება ვებ-გვერდის შექმნა;
- ❖ აღნიშნულ სიახლეებზე სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო გამომცემლობებში;
- ❖ დეპარტამენტის მიერ საქართველოში წარმოებული თიხოვანი მასალებისგან შექმნილი პროდუქციის შესახებ საჯარო პრეზენტაციის მოწყობა და გამოგონებების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა.

2022 წელს ასევე დაგეგმილია

დეპარტამენტის ექსპერტების მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში



სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტი

ექსპერტიზის ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საექსპერტო მიმართულებაა, რომელსაც უდიდესი როლი ენიჭება მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. 2021 წლის განმავლობაში სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული საექსპერტო კვლევების საფუძველზე, არაერთ გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეზე დროულად იქნა გამოტანილი განაჩენი.

მთელი წლის განმავლობაში სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ შესრულდა **27509** დასკვნა.



2021 წელს ქვეყანაში არსებული ეპიდვითარების გამო, სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავს მხარეებს შორის ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციით - COVID – 19 პანდემიის პერიოდში ექსპერტიზის ბიუროს თანამშრომელთა ინფიცირების თავიდან აცილების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებას. კერძოდ, ბიუროში სამედიცინო ექსპერტიზის კუთხით დანიშნული სისხლის სამართლის საქმეების ფარგლებში, დეპარტამენტს მიენიჭა წვდომა ცენტრის ელექტრონულ ბაზაზე, გამოსაკველევი/შესამოწმებელი პირის კოვიდ ისტორიის მიღების მიზნით.

კოვიდ პანდემიის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის რუსთავის განყოფილება, სრულად არის აღჭურვილი კოვიდ ინფიცირებული ან ინფიცირებაზე საეჭვო გვამების გამოსაკვლევად. შესაბამისად დაცულია როგორც ბიუროს თანამშრომელთა ჯანმრთელობა ასევე საზოგადოების უსაფრთხოება.

სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტი

მზადება საერთაშორისო აკრედიტაციის მისაღებად

2021 წელს სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტმა განაახლა მზადება **NAME** -აკრედიტაციის მისაღებად. ამ მიზნით რამდენიმე სამუშაო შეხვედრა გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის პროგრამის (INL) ხელმძღვანელობასთან. მათი მხარდაჭერის და კონსულტაციების შედეგად შეიქმნა აკრედიტაციის მისაღებად განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა.

სამედიცინო ექსპერტებისთვის უმაღლესი პროფესიული ორგანიზაცია **(NAME)** 1966 წელს დაარსდა ამერიკის შეერთვებულ შტატებში. ორგანიზაციის ფუნქციებია:

- სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის სტანდარტების შემუშავება და გამოქვეყნება;
- სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის მიმართულებით მომუშავე უწყებებისთვის აკრედიტაციის შეთავაზება და ხელშეწყობა შეერთებულ შტატებში და საერთაშორისო დონეზე;
- საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება მისი წევრებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის;

ახალგაზრდების ხელშეწყობა პროფესიული ცოდნის გასაღრმავებლად

სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტი, სხვა დეპარტამენტების მსგავსად, გარდა საექსპერტო საქმიანობისა, აქტიურად არის ჩართული მომავალი თაობებისთვის პროფესიული გამოცდილების გაზიარების პროცესში. ამ მიმართულებით 2021 წლის განმავლობაში ბიუროს მიერ ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში:

შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიან კლინიკური საავადმყოფოს“,„ზოგადი ქირურგიის“ და „სისხლძარღვთა ქირურგიის“ პროგრამის **რეზიდენტებმა** გაიარეს „სასამართლო მედიცინის“ მოდული. სწავლება წარმოებდა ლექცია/პრაქტიკულების ფორმატში, ინდივიდუალურ რეჟიმში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის **რეზიდენტებმა** გაიარეს სამედიცინო ექსპერტიზის პრაქტიკული მოდული.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის **სტუდენტებმა** გაიარეს სასამართლო მედიცინის მოდულის სწავლების პრაქტიკული ნაწილი.

სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტი

სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ გაგრძელდა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონში - აფხაზეთში დაღუპული პირების იდენტიფიკაციის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ურთიერთთანამშრომლობით. 2021 წელს ბიუროს დეპარტამენტების აქტიური მონაწილეობით, განხორციელდა 26 გარდაცვლილი პირის იდენტიფიკაცია, რომელთა ნეშთები ოჯახის წევრებს გადაეცათ.

დეპარტამენტის 2022 წლის სამოქმედო გეგმა

2022 წლისთვის სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტი საექსპერტო საქმიანობის განვითარების მიზნით, არა ერთ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას გეგმავს. მათ შორის:

დეპარტამენტის რეგიონალური განყოფილებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, იგეგმება კახეთის სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილებისთვის საერთაშორისო სტანდარტის ახალი შენობის მშენებლობა.

გარდა ინფრასტრუქტურული პროექტებისა, დეპარტამენტი გეგმავს საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, საექსპერტო კვლევის მეთოდოლოგიის განახლებას და დანერგვას, როგორც გვამების გამოკვლევის კუთხით, ასევე მიკრომორფოლოგიური (ჰისტოლოგიური) ექსპერტიზების მიმართულებით.

აქტიურად გაგრძელდება მუშაობა „ამერიკის სამედიცინო ექსპერტთა ასოციაციის“ (NAME) აკრედიტაციის მისაღებად.

ექსპერტთა პროფესიული განვითარების მიზნით იგეგმება მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში და ტრენინგებში.

დეპარტამენტის ექსპერტები 2022 წელსაც განაგრძობენ სტუდენტთა და რეზიდენტთა საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობას.

სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტი მომდევნო წელსაც აქტიურად იქნება ჩართული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის შედეგად დაღუპული პირების იდენტიფიცირების პროცესში.

ქიმიურ-ნარკოლოგიურო ექსპერტიზის დეპარტამენტი

2021 წელი პანდემიით გამოწვეული სირთულეების მიუხედავად საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა ქიმიურ - ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტისთვის. მიუხედავად იმისა, რომ წინა 5 წელთან შედარებით, დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ექსპერტიზების რაოდენობა თითქმის 3-ჯერ არის გაზრდილი, როგორც სახელმწიფო დაკვეთების ისე კერძო დაკვეთების მხრივ, რაც ექსპერტთა სამუშაო დროის მაქსიმუმს მოითხოვს, დეპარტამენტმა წლის განმავლობაში არა ერთი მნიშვნელოვანი სიახლე შესთავაზა მომხმარებელს.

დეპარტამენტში დანერგილი მეთოდები

დეპარტამენტის **ნივთიერებათა, მასალათა, ნაკეთობათა და მცენერეთა ექსპერტიზის მიმართულებით**

რენტგენოფლუორესცენტრულ ანალიზატორზე დაინერგა:

- ❑ გალვანიზირებული შენადნობის საფარის სისქის და დაფარვის რაოდენობრივი ანალიზი;
- ❑ RoHS მეთოდი სათამაშოებისთვის, საღებავებისთვის, შეღებილი ობიექტებისათვის, პოლიმერებისთვის და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებისათვის. აღნიშნული მეთოდები სხვადასხვა ობიექტებში (შენადნობში, პლასტმასაში, საღებავში და ა.შ.) ტყვიის და მძიმე მეტალების შემცველობის მაღალი სიზუსტით განსაზღვრის შესაძლებლობას მოგვცემს;

ინდუქტიურ პლაზმასთან შეწყვილებულ ოპტიკურ - ემისიურ სპექტრომეტრზე (“ICP-OES”) დაინერგა შემდეგი არბიტრაჟული მეთოდები:

- ❑ შენადნობების ხარისხის დადგენის მეთოდი;
- ❑ მადნების ხარისხის დადგენის მეთოდი;
- ❑ სხვადასხვა მოხმარების საგნებში ტყვიის და მძიმე მეტალების ანალიზის მეთოდი;
- ❑ მინის ელემენტური შემადგენლობის განსაზღვრის მეთოდი;
- ❑ მანქანის კატალიზატორების ელემენტური შემადგენლობის განსაზღვრის მეთოდი და სხვა.

ქიმიურ-ნარკოლოგიურო ექსპერტიზის დეპარტამენტი

დეპარტამენტში დანერგილი მეთოდები

დეპარტამენტის **ნავთობპროდუქტების ექსპერტიზის მიმართულებით** დაინერგა:

- ❑ საავტომობილო და საავიაციო ბენზინის საწვავებში ტყვიის განსაზღვრა;
- ❑ საშუალო დისტილატებში მეტალების განსაზღვრა astm d 7111-ის მიხედვით;
- ❑ ახალ და ნამუშევარ ზეთებში აქტიური ელემენტების განსაზღვრა astm d 4951, astm d 5185-ის მიხედვით;
- ❑ ნედლ ნავთობში მეტალების განსაზღვრა astm d 5708 method A-ს მიხედვით;

ლაბორატორიამ პირველად მოახდინა ნავთობროდუქტებში ოქსიგენატების განსაზღვრა;

ლაბორატორიაში დაინსტალირდა და სამუშაო რეჟიმში გადავიდა ინდუქციურად შეწყვილებული პლაზმა-ოპტიკურ ემისიური სპექტრომეტრი "ICAP DUO 7400" სრული კომპლექტაციით.

ხელსაწყო აღჭურვილია ორმაგი პლაზმის ხედვით, რაც ხსნარებში ერთდროულად არანაკლებ 70 ელემენტის დადგენის საშუალებას იძლევა 1 ppb აღმოჩენის ზღვრით.

დეპარტამენტის **კვების პროდუქტების ექსპერტიზის** მიმართულებით დაინერგა:

- ❑ RT-PSR -ის მეთოდი , რომლის საშუალებითაც შესაძლებელია თერმულად დამუშავებულ ხორც-პროდუქტებში (სოსისი, ძეხვი და სხვა) სოიოს შემცველობის და ხორცის სახეობრივი კუთვნილების განსაზღვრა;

- ❑ აეწყო მალამინის (აკრძალული ნივთიერება) აღმოჩენის მეთოდი საკვებ პროდუქტებში;

- ❑ ინდუქტიურ პლაზმასთან შეწყვილებულ ოპტიკურ - ემისიურ სპექტრომეტრზე ("ICP-OES") დაინერგა წყალში და საკვებ პროდუქტებში ელემენტური შემადგენლობის, მათ შორის მძიმე მეტალების რაოდენობრივი განსაზღვრის არბიტრაჟული მეთოდები;

ქიმიურ-ნარკოლოგიურო ექსპერტიზის დეპარტამენტი

ლაბორატორიების აკედიტაცია

2021 წელს დეპარტამენტის **ნავთობპროდუქტების ლაბორატორიამ** წარმატებით გაიარა გეგმიური ინსპექტირება „ISO 17025:2017/2018" სტანდარტის შესაბამისად.

ამავე წელს კვების ლაბორატორიის აკრედიტაციის სფეროს დაემატა 8 საღებავის (Sudan I, Sudan II, Sudan III, Sudan IV, Sudan Orange G, Sudan Red G, Sudan Red 7 B, Para Red) აღმოჩენის ვალიდირებული მეთოდი.

საკვალიფიკაციო ტესტირებებში მონაწილეობა

დეპარტამენტის ლაბორატორიები, ყოველწლიურად აქტიურად იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო ლაბორატორიათშორის ტესტირებებში და საუკეთესო შედეგებს აჩვენებენ.

წელსაც, **ნავთობ-პროდუქტების ექსპერტიზის ლაბორატორიამ,** ნიდერლანდების ლაბორატორიათაშორისი კვლევითი ინსტიტუტის (IIS) მიერ ორგანიზებულ ჰიდრავლიკის ზეთის უცნობი ნიმუშის ტესტირებაში მიიღო მონაწილეობა, და კვალიფიკაცია საუკეთესო შედეგით დაადასტურა.

ENFSI მიერ ორგანიზებული ლაბორატორიათშორისი ტესტირება წარმატებით გაიარა დეპარტამენტის ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის ლაბორატორიამ. ტესტირების საგანს წარმოადგენდა უცნობი შემადგენლობის ფხვნილებში ნარკოტიკული ნივთიერებების თვისებრივ-რაოდენობრივი ანალიზი.

ქიმიურ-ნარკოლოგიურო ექსპერტიზის დეპარტამენტი

ქიმიურ -ნარკოლოგიური ექსპერტიზის მიმართულებით 2021 წელს გაიცა **23686** დასკვნა .



დეპარტამენის 2022 წლის სამოქმედო გეგმა

გარდა მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა, 2022 წლისთვის დეპარტამენტი გეგმავს ახალი მეთოდების დანერგვას დეპარტამენტში შემავალი ყველა საექსპერტო მიმართულებით

ნივთიერებათა, მასალათა, ნაკეთობათა და მცენარეთა ექსპერტიზების მიმართულებით იგეგმება:

სპეციალური სკანირებადი ელექტრონული მიკროსკოპის „SEM-EDX"-ის შეძენა, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ სროლის პროდუქტების სრული ანალიზის ჩასატარებლად (დღეის მდგომარეობით აღნიშნული ექსპერტიზა საქართველოში არ ტარდება);

სკანირებადი ელექტრონული მიკროსკოპის შეძენა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება ნებისმიერი სახის მიკრონაწილაკის სრული მორფოლოგიური და ელემენტური შემადგენლობის დადგენა და ისეთი ექსპერტიზების ჩატარება, რომელიც დღეის მდგომარეობით საქართველოში ვერ ტარდება;

ნიმუშების მოსამზადებელი მინერალიზატორის შეძენა;

ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

დეპარტამენტის 2022 წლის სამოქმედო გეგმა

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზების მიმართულებით

- ევროპის ანალოგიური ლაბორატორიებში ბიოლოგიურ ობიექტებში ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების კვლევის ინსტრუმენტალური ანალიზის მეთოდების გაცნობა და დანერგვა;
- გარდაცვლილი პირების ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ ექსპერტიზის კვლევებში, აშშ-ის და ევროპის წამყვანი დაწესებულებების გამოცდილების გათვალისწინება ქიმიური ანალიზის და შედეგების ინტერპრეტაციის კუთხით;
- ბიოლოგიურ ობიექტებში (სისხლი, შარდი) და საგანმატარებელში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების, საკლუბო ნარკოტიკების და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების და მათი მეტაბოლიტების თვისობრივ-რაოდენობრივი ანალიზის მეთოდების (GC-MS, GC-MS/MS, LC-MS/MS) გაღრმავება და ვალიდაციის პარამეტრების დადგენა;
- ბიოლოგიურ ობიექტებში (სისხლი, შარდი, შინაგანი ორგანოები) და საგანმატარებლებში ქრომატომასსპექტრომეტრული მეთოდები ტოქსიკური, ნარკოტიკული ფსიქოტროპული, ახალი ფსიქოაქტიური და აქროლადი ნივთიერებების თვისობრივ-რაოდენობრივი ანალიზზე.

ნავთობპროდუქტების ექსპერტიზების მიმართულებით

არომატული და ჟანგბადშემცველი ნაერთების განსაზღვრა გაზური ქრომატოგრაფით, აღჭურვილი FID დეტექტორით, სვეტების სისტემით და გადამრთველი სარქველებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ანალიზის ჩატარებას EN ISO 22584-ის მიხედვით.

უცნობი ნიმუშების კომპონენტური ანალიზი გაზური მას-სპექტრომეტრის საშუალებით, რომელიც აღჭურვილი იქნება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მომუშავე ალურ-იონიზაციური დეტექტორით (FID) და ტანდემური მას-სპექტრომეტრით.

კვლევის ახალი მეთოდების დანერგვა, როგორიცაა ნამუშევარი ზეთების შედგენილობის სრული შესწავლა. ამისათვის იგეგმება ნამუშევარი ზეთების სისუფთავის კლასის განმსაზღვრელი ხელსაწყოს და ზეთში გაუხსნელი მეტალების ფეროსლაიდების დამამზადებელი მოწყობილობის შეძენა.

წვეთვარდნის განსასაზღვრი ხელსაწყო ასტმ დ 2265-ის მიხედვით.

ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

2021 წელი ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტისთვის, მიუხედავად ქვეყანაში არსებული კოვიდ პანდემიისა, საკმაოდ დატვირთული წელი იყო, როგორც საექსპერტო ისე სამეცნიერო მიმართულებით.

მთელი წლის განმავლობაში დეპარტამენტების ექსპერტების მიერ მომზადდა 4409 დასკნა. დასკვნები შესრულდა როგორც სახელმწიფო სტრუქტურების ასევე კერძო პირების დაკვეთით



ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების პროფესიულ და კარიერულ განვითარებაზე, შესაბამისად ყოველწლიურად ხდება წარმატებული თანამშრომლების დაწინაურება, ასევე ახალი კადრების მომზადება და დასაქმება. 2021 წელს წარმატებული საქმიანობისთვის და შესაბამისი საკვალიფიკაციო კურსის გავლის შედეგად დეპარტამენტის ერთი ლაბორანტი დაწინაურდა ექსპერტად, ხოლო ლაბორანტის პოზიციაზე დაინიშნა სტაჟიორი.

2021 წლის განმავლობაში "საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ორმა წარჩინებულმა სტუდენტმა 6 თვიანი სტაჟირების გავლის შემდეგ, მაისიდან გააგრძელა ფასიანი სტაჟირება.

ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

ექსპერტების მონაწილეობა საერთაშორისო ტესტირებებში, კონფერენციებში და ტრენინგებში

ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტები მთელი წლის განმავლობაში აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას, სხვადასხვა საერთაშორისო ტესტირებებში და კონფერენციებში. მათ შორის:

- ❑ ThermoFisher ორგანიზებით, გამართულ საერთაშორისო ონლაინ შეხვედრაში- RapidHIT ID ხელსაწყოს დემონსტრირებისა და გენეტიკურ ექსპერტიზაში მისი გამოყენების შესაძლებლობების გაცნობის მიზნით

- ❑ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისა ICRC და მწარმოებელი კომპანიის VEROGEN ორგანიზებით, გამართულ საერთაშორისო ვირტუალურ ტრენინგში, „ახალი თაობის სექვენირების-NGS, გენეტიკურ ექსპერტიზაში გამოყენების შესაძლებლობების“ შესახებ.

- ❑ მეორე საერთაშორისო პრაქტიკულ-ვირტუალური კონფერენციაში თანამედროვე მედიცინაში, თემაზე „Women's Health & Reproductive Endocrinology: Prognosis, Achievement & Challenges“, სადაც ექსპერტებმა წარადგინეს მოხსენება „Thrombophilia da Women Health”.

- ❑ ადამიანის გენეტიკის ევროპის ასოციაციის მიერ ორგანიზებული 54-ე ვირტუალური კონფერენციაში, სადაც დეპარტამენტი წარსდგა პოსტერ-პრეზენტაციით ***“Thrombosis during pregnancy and postpartum period in Georgian women with inherited thrombophilia: comparative analysis” (Control Number: 1520).*** კონფერენციაზე, ევროპელ კოლეგებს გავუზიარეთ ბიუროს სამედიცინო გენეტიკის ლაბორატორიის მიერ მოპოვებული მემკვიდრული თრომბოფილიის სამეცნიერო კვლევის შედეგები.



- ❑ დნმ-ის ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის ქვეჯგუფის შეხვედრაზე, დეპარტამენტი წარსდგა მოხსენებით - **„Risk estimation according to ISO 17025”,** და ევროპელ კოლეგებს გაუზიარა ბიუროში შექმნილი დოკუმენტი და არსებული გამოცდილება, ISO 17025 თანახმად, დნმ-ის ხარისხის, რისკების შეფასებისა და მათი მართვის მიმართულებით.

ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

ექსპერტების მონაწილეობა საერთაშორისო ტესტირებებში, კონფერენციებში და ტრენინგებში

- ევროპის სასამართლო საექსპერტო დაწესებულებათა ქსელის (ENFSI) დნმ ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის (DNA EWG) შეხვედრაში, რომელიც **ნიდერლანდების სასამართლო ექსპერტიზის ინსტიტუტის მიერ იქნა ორგანიზებული.**

- კორეაში გამართულ მე-7 საერთაშორისო ონლაინ-კონფერენციაში „დანაშაულის ადგილის საექსპერტო კვლევა“

- აშშ საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს - INL ორგანიზებით, ტრენინგზე „თბილისი მერიოტში“თემაზე „სექსუალური ძალადობის გამოძიების კურსი“, სადაც დეპარტამენტმა წარადგინა პრეზენტაცია **„დნმ-ის როლი სექსუალური ძალადობის შემთხვევების დროს“**

დეპარტამენტმა მიმდინარე წელს მონაწილეობა მიიღო გერმანიის დნმ-პროფილირების ჯგუფის - **GEDNAP მიერ ორგანიზებულ** საერთაშორისო საკვალიფიკაციო ტესტირებაში, ბიოლოგიური წარმოშობის ლაქების იდენტიფიკაციასა და გენეტიკურ პროფილირებაში, შესაბამისი სერთიფიკატის მიღების მიზნით.

ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით, 2021 წლის 13 დეკემბერს გაიმართა მრავალპროფილური ონლაინ-შეხვედრა-დისკუსია თემაზე: “**ექსპერტთა სპეციალიზაციის საკითხი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში**“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ-თამარ გიორხელიძემ.

2021 წლის განმავლობაში კვლავ აქტიურად გაგრძელდა წითელ ჯვარსა (ICRC) და ბიუროს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, **აფხაზეთის ომისა და ცხინვალის საომარი მოქმედებების დროს უგზო-უკვლოდ** დაკარგულთა დნმ-იდენტიფიკაციის პროცესი. წელს უგზოუკვლოს დაკარგული ოჯახის წევრებისგან **აღებულ იქნა 11 და სულ დაარქივდა 68 ბიოლოგიური ნიმუში.**

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და ბიუროს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, 2021 წელს, **აფხაზეთის საომარი მოქმედებების დროს დროს უგზო-უკვლოდ** დაკარგულთა ოჯახის წევრების **92 ნიმუში იქნა გენოტიპირებული და გაფართოვებული კვლევით, დამატებით 26, სულ 118 ნიმუში.**

ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

2021 წელს დეპარტამენტმა შეიძინა

კიდევ ერთი PCR ხელსაწყო, დნმ-ის გასამრავლებლად (ამპლიფიკაციისათვის), ერთდროულად, სამი სხვადასხვა პროგრამის მუშაობის შესაძლებლობით;

მწარმოებელი კომპანიის მიერ, უსასყიდლოდ გადმოგვეცა "RapidHIT" ID System ხელსაწყო და ექსპერტებს ჩაუტარდათ ტრენინგი;

მაღალტექნოლოგიური სისტემა აერთიანებს ერთ კარტრიჯში, ბიოლოგიური ნიმუშიდან დნმ-ის მიღების, გაწმენდის, ნორმალიზაციის, მისი გამრავლებისა PCR, ფრამენტაციის, დეტექციისა და მონაცემთა ანალიზის გენეტიკურ პროცესებს. ხელით შესასრულებული სამუშაო მინიმუმამდეა დაყვანილი და ბიოლოგიური ნიმუშიდან გენეტიკური პროფილის მიღება შესაძლებელია დროის უმოკლეს პერიოდში (90 წთ).

ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

2021 წელს ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტმა **გააფართოვა მემკვიდრულ თრომბოფილიაზე პასუხისმგებელი გენების მუტაციების კვლევის ნუსხა.**

კვალიფიციური ტრენინგისა და პილოტური ექსპერიმენტების შემდეგ, ახალი, მაღალტექნოლოგიური კვლევებით, PCR-ით და გენეტიკური ანალიზატორის გამოყენებით, მანამდე არსებული სამი მუტაციის კვლევის ნაცვლად, შესაძლებელი გახდა, სისხლის ერთი ნიმუშიდან, ექვსი მუტაციის ერთდროული დადგენა**, რაც პირველად საქართველოში, ბიუროში იქნა დანერგილი.**

ამიერიდან ბიუროს მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს Factor V Leiden, G1691A/R506Q, Factor V R2, H1299R, Prothrombin/Factor II, G20210A, MTHFR-C677T, MTHFR-A1298C და Plasminogen Activator Inhibitor 1 (PAI-1/ SERPINE1) 4G/5G კვლევა ჩაიტაროს

2022 წელს დეპარტამენტი სამედიცინო გენეტიკის მიმართულებით ახალი კვლევების და მეთოდების დანერგვასთან ერთად, გეგმავს საგრანტო პროგრამებში მონაწილეობის გზით სამეცნიერო კვლევების წარმოებას. კვლავ პრიორიტეტული იქნება საერთაშორისო კონფერენციებში, ტრენინგებში და საკვალიფიკაციო ტესტირებებში მონაწილეობა. 2022 წელს ახალი სტანდარტის შესაბამისად განახლდება ხარისხის და პროტოკოლების სახელმძღვანელოები 17025: 2017/2018. ასევე, განახლდება მატერიალურ -ტექნიკური ბაზა და ექსპერტები გადამზადდებიან მსოფლიოში გენეტიკური ექპერტიზების მიმართულებით დანერგილი სიახლეების გაცნობის და ლაბორატორიაში დანერგვის მიზნით. დეპარტამენტი 2022 წელს აქტიურად იქნება ჩართული ENFSI და CODIS ჯგუფების საქმიანობაში.

ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტი

ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ 2021 წელს გაიცა 3319 დასკვნა



საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში და ტრენინგებში მონაწილეობა

პანდემიის მიუხედავად, ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის ყველა ექსპერტი მთელი წლის განმავლობაში შეუფერხებლად ახორციელებდა დაკისრებულ მოვალეობას.

2021 წელს დეპარტამენტის ექსპერტები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა თემატურ კონფერენციებში და ტრენინგებში.

დეპარტამენტის ფსიქიატრები და ფსიქოლოგები მთელი წლის განმავლობაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ საგანმანათლებლო პროექტებში სადაც, მონაწილეებს უკითხავდნენ სალექციო კურსს სასამართლო ფსიქიატრიის და ფსიქოლოგიის შესახებ.

ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტი

2020 წლის 17 სექტემბერს, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, მოწონებულ იქნა ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფცია (ბარნაჰუსის მოდელი), რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ბავშვის საუკეთესო ინტერესზე მორგებული, ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და სპეციფიკა.

ცენტრის კონფეფცია დაეფუძნა ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის (კანადა, აშშ) ქვეყნების გამოცდილებას.

ცენტრის კონცეფცია ითვალისწინებს ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ჯგუფს, რომელთაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXII თავით, 143[2]-ე მუხლით (თუკი ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული მოიცავს სექსუალური მომსახურების გაწევის იძულებას ან პროსტიტუციაში/პორნოგრაფიაში ჩაბმას) 144[1]-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 253-ე მუხლის მე-5 ნაწილით, 254-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით, 255-ე მუხლის მე-3-7 ნაწილებითა და 255[1] და 255[2] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების შედეგად მიადგა ან შესაძლოა მისდგომოდა ზიანი.

ცენტრის მომსახურების ძირითადი პრინციპებია: ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება; ბავშვის ღირსების, მოსაზრებებისა და გრძნობების პატივისცემა, მისი აზრის გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღების პროცესში; ბავშვზე მორგებული მიდგომების გამოყენება; ყველა ბავშვისთვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა, მიიღოს ხარისხიანი მომსახურება; კონფიდენციალობის პრინციპის დაცვა; ბავშვთან მუშაობისას ეთიკის ნორმების დაცვა; ბავშვის და მისი კანონიერი წარმომადგენლის, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას, ინფორმირება ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება მათ, გამოძიების/რეაბილიტაციის პროცესში; კვლევებზე დაფუძნებული შეფასების მეთოდებისა და პრინციპების გამოყენება, მომსახურების სტანდარტების დანერგვა და გამჭირვალობა; მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილების შესრულება და განსაზღვრული ვადების ეფექტიანად დაცვა; მომსახურების ფიზიკური ხელმისაწვდომობა და ადაპტირებულობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის.

აღნიშნული ცენტრის ფუნქციონირების პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია ექსპერტიზას. კერძოდ, ფსიქიატრიული და სამედიცინო ექსპერტიზის მიმართულებებს.

ცენტრის საქმიანობის ფარგლებში, ცენტრის კონცეფციით გათვალისწინებულ დანაშაულებზე, ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან, ნიმუშის აღებისა და საექსპერტო შემოწმების პროცესის ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების პროცესის მიზნით შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სტანდარტული ოპერაციული პროცედურები.

პროცედურები ითვალისწინებს ცენტრის ფარგლებში, ბავშვთა მიმართ ჩადენილი ძალადობის საქმეზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში ექსპერტის მოქმედებისა და ექსპერტიზის ჩატარების სპეციალურ პროცედურებს.
აღნიშნული ცენტრის საქმიანობის ფორმატის გამართვის და კონკრეტულად ბიუროს ექსპერტების ცენტრის ფუნქციონირების პროცესში ეფექტური ჩართულობის მიზნით, ბიურომ და კერძოდ ფსიქიატირული და სამედიცინო ექსპერტიზის, ასევე ადმინისტრაციულმა დეპარტამენტებმა დიდი სამუშაო გასწია უწყებათაშორისი ჯგუფის მუშაობის ფარგლებში.

www.expertiza.gov.ge

საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული ექსპერტიზის დეპარტამენტი

2021 წელს მიუხედავად ქვეყანაში არსებული პანდემიისა, დეპარტამენტის მიერ საექსპერტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით არა ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა. კომპიუტერული ექსპერტიზის მიმართულებით განახლდა პროგრამული უზრუნველყოფები. მათ შორის:

- მყარი დისკებიდან ინფორმაციის ამომღები და აღმდგენი პროგრამული უზრუნველყოფა (**AccessDATAF**orensic **T**ool**K**it)
- მყარი დისკებიდან ინფორმაციის ამომღები და აღმდგენი პროგრამული უზრუნველყოფა (**OpenTEXTEnCase**)
- მყარი დისკებიდან მიმოწერის ამსახველი ინფორმაციის ამომღები და აღმდგენი პროგრამული უზრუნველყოფა (**Belkasoft Forensic Studio Ultimate**)
- დაზიანებული მყარი დისკებიდან ინფორმაციის ამომღები და აღმდგენი სისტემა (**ACELabPC 3000**)
- მობილური ტელეფონებიდან ინფორმაციის ამომღები და აღმდგენი პროგრამული უზრუნველყოფა (**MSABXRY**)
- მობილური ტელეფონებიდან ინფორმაციის ამომღები და აღმდგენი პროგრამული უზრუნველყოფა (**Cellebrite UFED TOUCH**)
- Apple-ს წარმოების კომპიუტერებიდან ინფორმაციის ამომღები და აღმდგენი პროგრამული უზრუნველყოფა -**BlackBagTechnology MacQuisition™**
- Apple-ს წარმოების კომპიუტერებიდან ინფორმაციის დამუშავების პროგრამული უზრუნველყოფა -**BlackBagTechnology BlackLight®**;
- ვიდეო ჩამწერი მოწყობილობებიდან ინფორმაციის ამომღები და აღმდგენი პროგრამული უზრუნველყოფა -**DME Forensics DVR Examiner**;

კომპიუტერული ექსპერტიზისთვის შეძენილ იქნა:

CellebriteDesktop Analytics
Cellebrite4PC
CellebriteUFED Premium

საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული ექსპერტიზის დეპარტამენტი

კომპიუტერული ექსპერტიზის განვითარების მიმართულებით 2022 წლისთვის დეპარტამენტში იგეგმება:

- ❑ არსებული პროგრამული უზრუნველყოფების ლიცენზიების განახლება;
- ❑ დაზიანებული მყარი დისკების შეკეთებისათვის საჭირო ჰაერის გამწოვ-გამწმენდი (Air Cleaner), რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მყარ დისკთან მუშაობა მტვრის ნაწილაკებისგან განთავისუფლებულ გარემოში, რათა აცილებულ იქნას მათი დაზიანება;
- ❑ ციფრული მატარებლებიდან ინფორმაციის ამოღება/აღდგენისათვის განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა (**X-Ways**);
- ❑ უსაფრთხოების კოდით ან გრაფიკული უსაფრთხოების კოდით დაშიფრული მობილური ტელეფონების მეხსიერებაში შეღწევისათვის განკუთვნილი მოწყობილობა (**OctoplusBox**);
- ❑ Apple-ს წარმოების მობილურ ტელეფონების და პლანშეტების ოპერაციულ სისტემაში უსაფრთხოების კოდის არსებობის შემთხვევის დროს შესაღწევი მოწყობილობა (**Magnet ForensicsAXIOM + GreyKey**);
- ❑ მობილური ტელეფონებიდან ინფორმაციის ამოღება პირდაპირ მეხსიერების ჩიპიდან (**Cellebrite or XRY Chip Off**).



გარდა საექსპერტო მომსახურების გაუმჯობესებისა, მთელი წლის განმავლობაში დეპარტამენტი უზრუნველყოფდა ბიუროში დანერგილი ელექტრონული სისტემების და პროგრამების გამართულად მუშაობას.

ბიუროს ელექტრონული სისტემების განახლების მიმართულებით განხორციელდა:

- ❑ ძირითადი სასერვერო ინფრასტრუქტურის განახლება / გარანტიის გაზრდა;
- ❑ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და FIMS პროგრამების განახლება;
- ❑ იურიდიული პირებისათვის, თბილისის მერიის და ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვის სააგენტოებისათვის შემუშავებული პროგრამის განახლება;
- ❑ გადახდების სისტემის შემუშავება POS ტერმინალების საშუალებით;
- ❑ ახალი ვებ-პლატფორმა (პროგრამა) ნარკოლოგიური ექსპერტიზის სამმართველოსათვის;
- ❑ POS ტერმინალების სისტემის მიბმა FIMS სისტემასთან;
- ❑ CODIS სრული განახლება;
- ❑ შემოჭრის პრევენციის სისტემის (IPS -Intrusion Prevention System) განახლება/დანერგვა;
- ❑ არსებული სასერვერო და ქსელური ინფრასტრუქტურის განახლება და ოპტიმიზაცია;
- ❑ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და **FIMS** პროგრამების გადაწერა თანამედროვე ტექნოლოგიით;

საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული ექსპერტიზის დეპარტამენტი

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, 2022 წელს დეპარტამენტი გეგმავს:

- სარეზერვო მონაცემთა ცენტრის მოწყობას TR2 სტანდარტის შესაბამისად;
- სარეზერვო სისტემის დანერგვას;
- ქსელური ინფრასტრუქტურის მონიტორინგის სისტემის (SolarWinds) დანერგვას;
- ბიუროს სასერვერო ინფრასტრუქტურის გაგრილების და კვების სისტემების მხარდაჭერის შესყიდვას;
- უსაფრთხოების სისტემის შეძენას/დანერგვას გარე სერვისების და მომხმარებლების აგრეგაციისათვის;
- უსაფრთხოების სისტემის შეძენას/დანერგვას შიდა სერვისების სეგმენტისათვის;
- CODIS სრული განახლებას;

2021 წელს დეპარტამენტის მიერ შესრულებულია



www.expertiza.gov.ge

შიდა აუდიტის და ინსპექტირების დეპარტამენტი

- მთელი წლის განმავლობაში, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების მიუხედავად, შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურმა, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებებით, მაქსიმალურად ხელი შეუწყო ბიუროს მიერ 2021 წელს დაგეგმილი სტრატეგიის და მოქმედი პროცედურების ეფექტურად განხორციელებაში, ბიუროს შინაგანაწესით განსაზღვრული სტანდარტის დაცვაში.

მიმდინარე წელს, შიდა აუდიტის წლიური გეგმის მიხედვით, დეპარტამენტმა განხორციელა ბიუროს საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობის მიმართულებით მონიტორინგი. კერძოდ:

- 2020 წელს შესყიდვის პროცედურების განხორციელების, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების სისწორის, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შემოწმება;

- ბიურო-ს ძირითადი აქტივების აღრიცხვისა და მართვის აუდიტი;

შემოწმების შედეგად, დეპარტამენტმა შეადგინა ბიუროს 2020 წლის მოდიფიცირებული საკასო მეთოდით შედგენილი ფინანსური ანგარიშგების, ფინანსური აუდიტის შიდა აუდიტორული დასკვნა.

შიდა აუდიტის და ინსპექტირების დეპარტამენტი ბიუროს ეკომნომიკური საქმიანობის შემოწმებას განახორციელებს 2022 წელსაც.

კეძოდ დაგეგმილია:

- ბიუროს ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში წარდგენილი 2021 წლის მოდიფიცირებული საკასო მეთოდით შედგენილი ფინანსური ანგარიშგების შემოწმება;

- 2021 წელს შესყიდვის პროცედურების განხორციელების, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების სისწორის და წლიური გეგმის შემოწმება.

- ძირითადი აქტივების აღრიცხვის და მართვის აუდიტი

2022 წელს ასევე განხორციელდება ადმინისტრაციული დეპარტამენტის ეფექტიანობის საქმიანობის აუდიტი

შიდა აუდიტის და ინსპექტირების დეპარტამენტი

მიმდინარე წლის განმავლობაში შიდა აუდიტისა და ინსპექტირების დეპარტამენტში შემოვიდა **148** საჩივარ-განცხადება (მოქალაქეებიდან 65, ხოლო სახელმწიფო დაწესებულებიდან 83) რომელიც განიხილა დეპარტამენტმა და მოახდინა შესაბამისი რეაგირება.

ერთი წლის განმავლობაში ცხელ ხაზზე სულ შემოვიდა **34209** ზარი: აქედან, 756 ზარზე გამოიკვეთა დარღვევა, რომელზეც განხორციელდა შესაბამისი რეაგირება, ხოლო დანარჩენს გაეწია კონსულტაცია.

g.p.s პროგრამით ხორციელდება ბიუროს კუთვნილი ავტომობილების სიჩქარის და გადაადგილების კონტროლი;

ასევე შიდა აუდიტისა და ინსპექტირების დეპარტამენტი ახორციელებს თანამშრომლების დროებით განთავისუფლების და ექსპერტების გასვლითი სამუშაოს შესრულებისის მონიტორინგს.

დეპარტამენტმა მთელი წლის განმავლობაში ბიუროს თბილისის და რეგიონების ოფისებში, თანამშრომელთა შრომის და დისციპლინის მონიტორინგის მიზნით რამდენიმჯერ განახორციელა ინსპექტირება.

შიდა აუდიტის და ინსპექტირების დეპარტამენტი

დეპარტამენტის მიერ 2021 წელს გამოვლენილ იქნა თანამშრომელთა მხრიდან დისციპლინური გადაცდომის 10 შემთხვევა. მათ შორის გაფრთხილება გამოეცხადა ბიუროს 2 თანამშრომელს, საყვედური ბიუოს 8 თანამშრომელს

აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის მიერ ტურნიკეტის საშუალებით ასევე ხორციელდება ბიუროს თანამშრომლების სამსახურში დროულად გამოცხადების, სამუშაო ადგილზე ყოფნის და სამსახურიდან გასვლის კონტროლი

აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი

2021 წლის განმავლობაში, აჭარის რეგიონული ექსპერტიზის თანამშრომლების საქმიანობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა კვალიფიციური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, ობიექტური და მაღალკვალიფიციური ექსპერტიზების წარმოება და მომხმარებლისთვის ხარისხიანი და სწრაფი მომსახურების უზრუნველჰყოფა.

ქვეყანაში არსებული პანდემიის მიუხედავად დეპარტამენტის მიერ გაცემული დასკვნების რაოდენობამ წინა წლის რაოდენობის **108,94%** შეადგინა.



საექსპერტო კვლევების სფეროს გაფართოების და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, დეპარტამენტმა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა **სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის მიმართულებით:**

- ❑ კონკურსის წესით დაინიშნა 2 სპეციალისტი (ქონების ინსპექტორი)
- ❑ სპეციალისტები გადამზადდნენ და მიიღეს შესაბამისი სერტიფიკატი ქონების ინსპექტორების უძრავი და მოძრავი ქონების შეფასების მიმართულებით;
- ❑ ავტოსასაქონლო ექსპერტიზის მიმართულებით დამატებით დაინიშნა ერთი ექსპერტი;
- ❑ ბიზნესის და არამატერიალური ექტივების შეფასების ექსპერტიზის მიმართულებით გადამზადდა ერთი ექსპერტი
- ❑ სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის განყოფილების ექსპერტებმა წარმატებით გაიარეს ორწლიანი პერიოდული სერთიფიცირება

აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი

მიმდინარე წელს

- მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდის გამო, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დეპარტამენტის სერვის ცენტრის სივრცეში განთავსდა რიგის ნომრის აპარატი, რომელმაც მკვეთრად ორგანიზებული გახადა დამკვეთის მიერ ექსპერტიზის დანიშვნის პროცესი.

- უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით დეპარტამენტის ნივთმტკიცებების საცავში დამონტაჟდა დამატებითი სასიგნალიზაციო სისტემა;

- განხორციელდა არქივის სივრცის მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფა;

საექსპერტო მიმართულებების ეფექტურად ფუნქციონირებისთვის დეპარტამენტი 2022 წელს არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარებას გეგმავს.

საინჟინრო ექსპერტიზის მიმართულებით:

სახელმწიფო და სხვა დაქვემდებარებული უწყებების დაკვეთით სამშენებლო სამუშოების ზედამხედველობის მხრივ, მზარდი ტენდენციის გათვალისწინებით, დაკისრებული მოვალეობების კიდევ უფრო ეფექტურად შესრულების მიზნით იგეგმება საინჟინრო-საზედამხედველო განყოფილების შექმნა;

საინჟინრო ექსპერტიზის მიმართულებით დაგეგმილია დამატებით ექსპერტის/ექსპერტების დასაქმება, ისეთი მომსახურების გასაწევად, როგორიც არის: ტაქეომეტრით მუშაობა; შენობა-ნაგებობების აღდგენა-გაძლიერების, რეკონსტრუქციის და რემონტის ხარჯთაღრიცხვის შედგენა; შენობა-ნაგებობების აღდგენა-გაძლიერების, რეკონსტრუქციის და რემონტის (კონსტრუქციული ნაწილი) შედგენა; შენობა-ნაგებობების და სხვა კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის და მდგრადობის დადგენა; საშენი მასალების სხვადასხვა ტექნიკური მახასიათებლებისა, ხარისხისა და ნორმებთან და მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის დადგენა; ელექტროობასთან დაკავშირებული ექსპერტიზები. ამ ეტაპზე, ზემოთაღნიშნული ექსპერტიზების წარმოება ხორციელდება თბილისში.

აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი

სამედიცინო ექსპერტიზის მიმართულებით

ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის; სქესობრივი ხასიათის ქმედების; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით განსაზღვრული ნორმების დაცვის მიზნით, ბიურო აქტიურად მუშაობს, დამატებით მოიძიოს მდედრობითი სქესის მაღალკვალიფიციური სამედიცინო ექსპერტები რეგიონულ ოფისებში დასაქმების მიზნით. აღნიშნული აუცილებლობა განპირობებულია კანონმდებლობის ნორმებით, რომელიც გულისხმობს არასრულწლოვანთა შემთხვევაში სავალდებულოდ, ხოლო სრულწლოვანი ქალის შემთხვევაში გამოსაკვლევი პირის მოთხოვნის შესაბამისად, იდენტური სქესის ექსპერტის გამოყოფას. კადრების სიმცირის გამო ამ ეტაპზე საჭირო ხდება გამოსაკვლევი პირის თბილისში გადაყვანა.

სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის მიმართულებით

უძრავი ქონების შეფასებისას, გარდა დადგენილი სტანდარტებისა, ღია ინფორმაციული წყაროებიდან (ss.ge; myhome.ge და ა.შ) საჭირო ინფორმაციის მიღების გამარტივების და სტანდარტიზაცის მიზნით იგეგმება ამ კომპანიებთან მემორანდუმის გაფორმება;

მომხმარებლთა სერვისის გაუმჯობესების მიმართულებით

დეპარტამენტში იგეგმება დამატებით ერთი სწრაფი გადახდის აპარატის დამონტაჟება და ასევე სერვის ცენტრში გადახდის ტერმინალების დამონტაჟება, რითაც მომხმარებელს ექნება შესაძლებლობა მომსახურების გადახდა განახორციელოს არამატერიალური გზით.

დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი

მიუხედავად ქვეყანაში არსებული პანდემიისა 2021 წელს დასავლეთ საქართველოს რეგიონალიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ყველა განყოფილება შეუფერხებლად ახორციელებდა საქმიანობას. შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ შესრულდა 19834 დასკვნა



საექსპერტო საქმიანობის გაფართოება და დასაქმება

2021 წელს დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტში **საინჟინრო ექსპერტიზის მიმართულებით დაემატა საინჟირო ტექნიკური ზედამხედველობა.** შესაბამისად ამ მომსახურების განსახორციელებლად დეპარტამენტში დასაქმდა ერთი ექსპერტი.

სამედიცინო ექსპერტიზის მიმართულებით, მომსახურების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით დეპარტამენტში დასაქმდა ერთი ექსპერტი (ჰისტოლოგი)

დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი

პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება

2021 წელს სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის განყოფილების ექსპერტებმა წარმატებით გაიარეს „მიწის მესაკუთრეთა დაცვის ასოციაციის" მიერ შემფასებელთა პროფესიული სერთიფიცირებისა და მომზადების პროგრამა და განაახლეს ბიზნესის, უძრავი და მოძრავი ქონების შემფასებლის ISO/IEC 17024 სტანდარტის სერთიფიკატები;

სამომავლო გეგმები

სამედიცინო ექსპერტიზის მიმართულებით კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, არასრულწლოვანთა შემთხვევაში სავალდებულოდ, ხოლო ზრდასრულ ქალბატონთა შემთხვევაში, გამოსაკვლევი პირის სურვილის შესაბამისად, გამოკვლევა უნდა განახორციელდეს იდენტური სქესის ექსპერტის მიერ. საკითხის გადაჭრის მიზნით, 2022 წელს დეპარტამენტის სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილებაში იგეგმება მდედრობითი სქესის სამედიცინო ექსპერტის დასაქმება.

2022 წელს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით დეპარტამენტი კვლავ აქტიურად მიიღებს მონაწილეობას საერთაშორისო და ადილობრივ ტრენინგებში, სამეცნიერო კონფერენციებში და სემინარებში.